გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №8

ქ. გარდაბანი **31 აგვისტო 2026 წელი 12[00] სთ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა: **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური**

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - - სამირ ხიალოვი;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ონიანი;
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვუგარ მამედოვი;
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი გურულიშვილი;
5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -ლევან ნიჟარაძე;
6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე;
7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - თორნიკე ქავთარაძე;
8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე- ოთარ გავაშელიშვილი;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების განყოფილების მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ელისო აკოფაშვილი;

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ***ფიქრია ქარუმიძე***
თანამომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ***დავით შინჯიკაშვილი***
თანამომხსენებელი: ***დავით ჭინჭარაული***

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ***ფიქრია ქარუმიძე***
თანამომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევის, აიშა ალიევასა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის კობა ქარუმიძისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის საბა ფურცელაძისა და მწვრთნელის გოდერძი ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი ფერაშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

10. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა ბიუროს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს საკითხების განსახილველად გამოტანა სთხოვა დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - ფიქრია ქარუმიძე არ იმყოფებოდა ბიუროს სხდომაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ - ბიუროს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს განიხილა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2026 წლის 27 აგვისტოს დამატებით წარმოდგენილ იქნა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის კორექტირებული წერილი. **განხილულ იქნა:**

მუნიციპალიტეტის მერის 26 აგვისტოს 18-182623878 წერილით წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, კერძოდ:

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260

განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 669,932 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად და სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 22,955 ლარი, საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარებისთვის.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის N878 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა სატენდერო ეკონომიის შედეგად შემცირდა - 82,047 ლარით და შეადგინა - 417,953 ლარი.

ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები საპროგნოზო შემოსავლები - 3,040,700 ლარით, კერძოდ: შემოსავლები ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან - 364,500 ლარი, შემოსავლები არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან (მიწა) – 2,676,200 ლარი.

გაიწერა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი -- 123,200 ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამებისთვის შემცირდა დაფინანსება 32,000 ლარით, კერძოდ:

- დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა – 6,000 ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა – 5,000 ლარი;
- სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარების პროგრამა – 5,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველ_ იძულებით_ გადაადგილებულ_ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა – 5,000 ლარი;
- უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა – 11,000 ლარი;

ამოღებულ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტი - ქ. გარდაბანში ორი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა - 1,055,300 ლარი.

სულ 4,251,200 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- სოფელ მარტყოფში ძიუდოს დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია 115,000 ლარი;
- სოფელ მარტყოფში კორპუსების ეზოების მოასფალტება - 10,000 ლარი;
- სოფელ მარტყოფში საავტომობილო გზის მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა 21,300 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში ორი ერთეული სკვერის (ტიპიური) მოწყობა - 140,000 ლარი;
- ქ. გარდაბანში, ლელაშხას დასახლებაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში კოშკის მოწყობა - 20,900 ლარი;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა - 150,000 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა – 300,000 ლარი;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა – 15,000 ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა – 20,000 ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა – 15,000 ლარი; . სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა – 25,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა – 60,000 ლარი;
- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა – 20,000 ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა – 5,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა – 2,000 ლარი;
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა – 5,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - 15,000 ლარი;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა – 20,000 ლარი;
- ბავშვთა ადრეული და თერაპიული ინტერვენციის პროგრამა – 32,000 ლარი;
- ა(ა)იპ, „რაგბის კლუბი ქვემო ქართლი“-ს დაფინანსება - 200,000 ლარი;

· სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის დავალიანების დაფარვა - 3,060,000 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** - დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 9
წინააღმდეგი – 0

საკითხი 2

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ იმყოფებოდა ბიუროს სხდომაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების განყოფილების მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა - ელისო აკოფაშვილმა - ბიუროს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის ცვლილების მიზეზია საქართველოს კანონთან „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტის ჰარმონიზაცია. კერძოდ, უნდა მოხდეს ნორმატიული აქტიდან 103¹ მუხლის ამოღება, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას და 1662 მუხლის

მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ნაწილის დაკონკრეტება. ამასთან, საჭიროა ტერმინოლოგიის დაზუსტება და ერთგვაროვანი ჩამოყალიბება („მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი"), რათა თავიდან იქნას აცილებული გაურკვევლობა და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ" გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** - დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –9
წინააღმდეგი – 0

საკითხი 3

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - ფიქრია ქარუმიძე არ იმყოფებოდა ბიუროს სხდომაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ - ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ** და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას, დასახული პრიორიტეტების

ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ, მერის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის 6 თვის გეგმა			2026 წლის 6 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**41,346.0**	**9,173.7**	**32,172.3**	**35,607.8**	**3,533.9**	**32,073.9**
გადასახადები	28,179.8	0.0	28,179.8	28,241.5	0.0	28,241.5
გრანტები	9,173.7	9,173.7	0.0	3,533.9	3,533.9	0.0
სხვა შემოსავლები	3,992.5	0.0	3,992.5	3,832.4	0.0	3,832.4
ხარჯები	**30,174.2**	**898.5**	**29,275.7**	**25,192.2**	**658.1**	**24,534.1**
შრომის ანაზღაურება	4,836.4	1.0	4,835.5	3,974.8	1.0	3,973.9
საქონელი და მომსახურება	5,205.4	645.4	4,560.0	4,090.9	478.9	3,612.0
პროცენტი	285.4	0.0	285.4	284.0	0.0	284.0
სუბსიდიები	15,541.4	186.8	15,354.6	13,569.4	162.3	13,407.1
გრანტები	65.0	0.0	65.0	65.0	0.0	65.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,409.9	15.9	3,394.0	2,775.7	15.9	2,759.8
სხვა ხარჯები	830.6	49.5	781.1	432.4	0.0	432.4
საოპერაციო სალდო	**11,171.8**	**8,275.2**	**2,896.6**	**10,415.7**	**2,875.8**	**7,539.8**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**14,271.5**	**10,690.2**	**3,581.3**	**-883.2**	**3,247.5**	**-4,130.7**
ზრდა	15,903.5	10,690.2	5,213.3	4,789.6	3,247.5	1,542.1
კლება	1,632.0	0.0	1,632.0	5,672.8	0.0	5,672.8
მთლიანი სალდო	**-3,099.7**	**-2,415.1**	**-684.7**	**11,298.9**	**-371.6**	**11,670.5**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-4,830.0**	**-2,415.1**	**-2,415.0**	**9,573.1**	**-371.6**	**9,944.7**
ზრდა	0.0	0.0	0.0	9,573.1	-371.6	9,944.7

კლება	4,830.0	2,415.1	2,415.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**-1,730.3**	**0.0**	**-1,730.3**	**-1,725.8**	**0.0**	**-1,725.8**
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1,730.3	0.0	1,730.3	1,725.8	0.0	1,725.8
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

2026 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 13,515.9 ათასი ლარი.

2026 წლის II კვარტლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 23,089.0 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის ფაქტი	შესრულება %-ში
შემოსულობები	**42978.0**	**41280.6**	**96.1**
შემოსავლები	41346.0	35607.8	86.1
არაფინანსური აქტივების კლება	1632.0	5672.8	347.6
გადასახდელები	**47808.0**	**31707.5**	**66.3**
ხარჯები	30174.2	25192.2	83.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	15903.5	4789.6	30.1
ვალდებულებების კლება	1730.3	1725.8	99.7
ნაშთის ცვლილება	**-4830.0**	**9573.1**	

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 42,978.0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 41,280.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 96.1%.

I შემოსავლები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 6 თვის გეგმა 41,346.0 ათასი ლარი ფაქტიურად 35,607.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 86.1% შეადგინა.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 28,241.5 ათასი ლარი. გეგმიურ მაჩვენებელთან 28,179.8 ლართან შედარებით 61.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 19,372.2 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის 18,270.0 ათასი ლარის 103.2%-ს შეადგენს, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი – 18,867.6 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – -9.2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე - 3.5 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 155.4 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 354.9 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ბიუჯეტში გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 9,399.8 ათასი ლარის მიღება, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 8,869.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.4%-ია.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 3,533.9 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 726.1 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 2,807.8 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 3,992.5 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 3,832.4 ათასი ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 96.0% შეადგინა, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 525.0 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 514.0 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 470.8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 43.2 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 224.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ **სანებართვო მოსაკრებელიდან** (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე) მთლიანობაში მიღებულია 95.6 ათასი ლარი.
- ✓ **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 108.8 ათასი ლარი.
- ✓ **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების** მუხლიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 19.9 ათასი ლარი.

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 2,244.8 ათასი ლარი შეადგინა.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 324.2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივებიდან გეგმის სახით გათვალისწინებული იყო 1,632.0 ათასი ლარის მიღება. ნაცვლად ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 5,672.8 ათასი ლარის შემოსავალი (შესრულება - 347.6%). მათ შორის: 864.5 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივები (მიწის) გაყიდვიდან - 4,808.2 ათასი ლარი.

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელების შესრულების შესახებ

2026 წელს 6 თვის გადასახდელების საკასო შესრულების 66.3%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 47,808.0 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 31,707.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 66.3%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 30,174.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 25,192.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 83.5%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 79.5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15,903.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 4,789.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 30.1% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 15.1%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,730.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1,725.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 5.4%-ია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4,836.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3,974.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 5,205.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 4,090.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.6%-ს შეადგენს.

,,პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 285.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 284.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.5%-ს შეადგენს. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 15,541.4 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13,569.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.3%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 517.3 ათასი ლარი;
- საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 149.4 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) - 212.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 127.4 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქის მიერ) – 1,209.7 ათასი ლარი;
- სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიერ) – 7,577.6 ათასი ლარი;
- სპორტული სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიერ) – 1,842.0 ათასი ლარი;
- სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების მიერ) – 224.7 ათასი ლარი;
- ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მიერ) – 190.5 ათასი ლარი;

- კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 514.9 ათასი ლარი;
- მუზეუმების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცენტრის მიერ) – 170.4 ათასი ლარი;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ) – 164.8 ათასი ლარი;
- მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ მეგობრობის ცენტრის მიერ) – 109.3 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის მიერ)– 323.1 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ხელშეწყობა - 9.3 ათასი ლარი;
- თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრის მიერ) – 227.5 ათასი ლარი;

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 65.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 65.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3,409.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2,775.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.4%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 640.9 ათასი ლარი;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა - 61.5 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 255.6 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 1.4 ათასი ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება - 74.2 ათასი ლარი;
- დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა - 2.0 ათასი ლარი;

- უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება - 18.5 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება - 8.9 ათასი ლარი;
- უხუცეს პირთა სოციალური დაცვა- 6.0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები - 45.0 ათასი ლარი;
- ბავშთა პროგრამები - 83.4 ათასი ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარება - 36.9 ათასი ლარი.
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურება - 243.8 ათასი ლარი;
- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურება - 156.1 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა - 64.6 ათასი ლარი;
- უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვა - 20.7 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირთა/დევნილთა დახმარება - 26.5 ათასი ლარი;
- მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 33.5 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა - 2.9 ათასი ლარი;
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფა - 19.2 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 843.1 ათასი ლარი;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 37.6 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 830.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდი 57.0 ათასი ლარი, თვითმმართველობის დავალიანების ფონდი - 92.0 ათ. ლარი. ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 432.4 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდიდან 57.0 ათასი ლარი, თვითმმართველობის დავალიანების ფონდი - 92.0 ათ. ლარი. „სხვა ხარჯების" მთლიანმა შესრულებამ გეგმის 52.1% შეადგინა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 2026 წლის ორ კვარტალში დაფინანსდა მოსახლეობისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 31.3 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 9.8 ათასი ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა - 11.1 ათ. ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 3.0 ათ. ლარი;

- წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოვება - 1.0 ათ. ლარი;
- ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 0.8 ათ. ლარი;

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,009.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (2,015.7 ათასი ლარი) 99.7 %-ია. მათ შორის: წინა წლებში წარმოქმნილი სესხების ძირი თანხის დაფარვა - 1,725.8 ათასი ლარი, სესხის მომსახურების პროცენტი - 284.0 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის ფაქტი	შესრულების პროცენტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	9,943.6	8,402.6	84.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,869.8	3,119.6	35.2
705	გარემოს დაცვა	2,351.3	1,648.3	70.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,534.2	3,251.4	58.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	398.5	332.5	83.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6,475.0	3,143.1	48.5
709	განათლება	10,610.7	8,865.8	83.6
710	სოციალური დაცვა	3,624.9	2,944.2	81.2
სულ		**47,808.0**	**31,707.5**	**66.3**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 8,402.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (9,943.6 ათასი ლარი) 84.5%-ია;
- ინფრასტრუქტურის განვითარება - 6,521.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (14,610.4 ათასი ლარი) 44.6%-ია;

- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,498.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,150.4 ათასი ლარი) 69.7%-ია;
- განათლება - 8,285.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (9,928.7 ათასი ლარი) 83.5%-ია;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3,722.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (7,151.6 ათასი ლარი) 52.1%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3,276.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,023.4 ათასი ლარი) 81.4%-ია.

დაზუსტებული ასიგნებების შესრულება

(ათას ლარებში)

ორგ. კოდი	დასახელება	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის ფაქტი	შესრულების %
	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	**47808.0**	**31707.5**	**66.3**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**9943.6**	**8402.6**	**84.5**
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა**	**7701.3**	**6178.9**	**80.2**
01 01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1469.9	1262.4	85.9
01 01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	6186.5	4910.1	79.4
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	45.0	6.3	13.9
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**2242.2**	**2223.8**	**99.2**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	57.0	57.0	100.0
01 02 02	მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	2015.7	2009.8	99.7
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	92.0	92.0	100.0
01 02 04	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	65.0	65.0	100.0
01 02 05	სოციალური თანასწორობის ხელშეწყობა	12.5	0.0	0.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**14610.4**	**6521.1**	**44.6**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**8184.8**	**2932.0**	**35.8**

02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	7882.3	2907.3	36.9
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	20.0	0.0	0.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	282.5	24.7	8.7
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**1556.8**	**1273.5**	**81.8**
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	482.3	387.7	80.4
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია	200.0	181.1	90.6
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1.4	0.0	0.0
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	673.5	555.3	82.4
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	199.5	149.4	74.9
02 03	**გარე განათება**	**1680.6**	**1210.1**	**72.0**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1331.0	1200.5	90.2
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	349.6	9.7	2.8
02 04	**მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	**1577.4**	**336.0**	**21.3**
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	1281.5	124.0	9.7
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1.5	0.0	0.0
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	294.4	212.0	72.0
02 05	**სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია**	**0.7**	**0.0**	**0.0**
02 05 01	სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	0.7	0.0	0.0
02 06	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	**5.5**	**0.6**	**10.4**
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	5.5	0.6	10.4
02 07	**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები**	**685.0**	**187.6**	**27.4**
02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	141.5	15.4	10.9
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	527.5	170.3	32.3

02 07 03	ქსელებზე დაერთებასა და მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები	16.0	2.0	12.3
02 08	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები**	**919.6**	**581.3**	**63.2**
02 08 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	240.6	46.9	19.5
02 08 02	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა	679.0	534.3	78.7
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2150.4**	**1498.8**	**69.7**
03 01	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**1416.0**	**1222.7**	**86.4**
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1391.0	1211.8	87.1
03 01 02	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	25.0	11.0	43.9
03 02	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**	**434.4**	**276.1**	**63.6**
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	238.7	148.7	62.3
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა	195.7	127.4	65.1
03 03	**კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში**	**300.0**	**0.0**	**0.0**
03 03 01	ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა	300.0	0.0	0.0
04 00	**განათლება**	**9928.7**	**8285.8**	**83.5**
04 01	**სკოლამდელი განათლება**	**8856.0**	**7648.8**	**86.4**
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	8576.2	7621.4	88.9
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	279.7	27.5	9.8
04 02	**დაწყებითი ზოგადი განათლება**	**1072.7**	**637.0**	**59.4**
04 02 01	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	599.6	189.1	31.5
04 02 02	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	473.1	447.9	94.7
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**7151.6**	**3722.5**	**52.1**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**5126.8**	**2200.2**	**42.9**
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	59.0	45.4	76.9
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	2169.7	1842.0	84.9

05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2823.1	241.2	8.5
05 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	75.0	71.6	95.4
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**1994.8**	**1504.4**	**75.4**
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	158.0	129.2	81.7
05 02 02	ტელევიზიის დაფინანსება	25.0	0.6	2.5
05 02 03	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	271.2	224.7	82.9
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	222.7	190.5	85.5
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	653.4	514.9	78.8
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	195.0	170.4	87.4
05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	188.2	164.8	87.5
05 02 08	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	146.0	109.3	74.8
05 02 09	კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	135.3	0.0	0.0
05 03	**ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**	**30.0**	**17.9**	**59.6**
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.0	17.9	59.6
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4023.4**	**3276.7**	**81.4**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**367.7**	**323.1**	**87.9**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	367.7	323.1	87.9
06 02	**სოციალური პროგრამები**	**3655.7**	**2953.5**	**80.8**
06 02 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	700.0	640.9	91.6
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	30.8	9.3	30.3
06 02 03	სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა	100.0	61.5	61.5
06 02 04	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	258.0	227.5	88.2
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	301.5	255.6	84.8
06 02 06	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	6.0	1.4	23.3

06 02 07	დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	80.0	74.2	92.8
06 02 09	დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	5.0	2.0	40.0
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	50.0	18.5	36.9
06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	18.0	8.9	49.4
06 02 12	უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	9.0	6.0	66.7
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები	65.9	45.0	68.3
06 02 14	ბავშვთა პროგრამები	145.0	83.4	57.5
06 02 15	სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა	84.0	65.5	77.9
06 02 16	სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	300.0	243.8	81.3
06 02 17	ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	300.0	156.1	52.0
06 02 18	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა	65.0	64.6	99.4
06 02 19	უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები	50.5	20.7	41.0
06 02 20	სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	35.0	26.5	75.6
06 02 21	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	50.0	33.5	66.9
06 02 22	სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა	16.0	2.9	18.2
06 02 23	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა	20.0	19.2	95.8
06 02 24	სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	900.0	843.1	93.7
06 02 26	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	66.0	43.5	66.0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა საკითხს - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ** - განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 9
წინააღმდეგი – 0

საკითხი 4

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევის, აიშა ალიევასა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევის, აიშა ალიევასა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 24 აგვისტოს №75 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 3-6 ივნისს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამართულ საქართველოს 33-ე ჩემპიონატზე კიკბოქსინგში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის კიკბოქსინგელთა გუნდმა წარმატებით დაასრულა პირველობა. პირველი ადგილი დაიკავეს სპორტსმენებმა: კარიმ ვალიევმა [redacted]), ჰამიდ ომაროვმა [redacted]), ელიმხან დაშდამიროვმა (პ.ნ.[redacted], ეფე ხალილოვმა [redacted], ნიჰათ სოფიევმა ([redacted]76) და ჯანერ მამედოვმა (პ.ნ[redacted]), ხოლო მეორე ადგილი დაიკავა აიშე ალიევმა (პ.ნ. [redacted]) და მალიჩ ალიევმა (პ.ნ.[redacted], სპორტსმენების მწვრთნელია გაჯი ვალიევი (პ.ნ[redacted].

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენების: კარიმ ვალიევის შესაძლო დაჯილდოება 500 (ხუთასი) ლარით, ჰამიდ ომაროვის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა, ელიმხან დაშდამიროვის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა, ეფე ხალილოვის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა, ნიჰათ სოფიევის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა,

ჯანერ მამედოვის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა, მალიჩ ალიევის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა, ხოლო მწვრთნელის - გაჯი ვალიევის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 830 (რვაას ოცდაათი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად, ხოლო სპორტსმენ აიშა ალიევას ეთქვა უარი დაჯილდოებაზე, ვინაიდან საბუთები არ არის სრულყოფილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევის, აიშა ალიევასა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ** - განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 9
წინააღმდეგი – 0

საკითხი 5

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის კობა ქარუმიძისა და მწვრთნელის იმედა ფრენწუაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის კობა ქარუმიძისა და მწვრთნელის იმედა ფრენწუაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შევიდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 24 აგვისტოს N 174 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 15-19 აგვისტოს, სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 20 წლამდელებს შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა კობა ქარუმიძემ (პ. [redacted] 55 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მეორე ადგილი. მისი მწვრთნელია იმედა ფრენწუაშვილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის კობა ქარუმიძისა და მწვრთნელის - იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

ბიუროს სხდომამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადგინდა, რომ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ გამოგზავნილი დებულება არის ინგლისურენოვანი, ნოტარიულად ნათარგმნია ქართულ ენაზე მხოლოდ სპორტსმენის შედეგის ჩამონათვალი და განრიგი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 2
წინააღმდეგი – 7

საკითხი 6

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული საბა ფურცელაძის და მწვრთნელის გოდერძი ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული საბა ფურცელაძის და მწვრთნელის გოდერძი ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შევიდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 24 აგვისტოს №173 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 15-19 აგვისტოს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ბერძნულ-რომაულ სტილით ჭიდაობაში 20 წლამდელებს შორის - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, საბა ფურცელაძემ (პ/[redacted]) 130 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე ადგილი, მისი მწვრთნელია გოდერძი ჯოხაძე (პ/ნ. [redacted]).

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის საბა ფურცელაძის და მწვრთნელის - გოდერძი ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ საკითხი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

ბიუროს სხდომამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადგინდა, რომ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ გადმოგზავნილი დებულება და სპორტსმენის შედეგი არის ინგლისურენოვანი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –2
წინააღმდეგი – 7

საკითხი 7

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი ფერაშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი ფერაშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 19 აგვისტოს №120 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 8-20 მაისს უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მკლავჭიდში და პარა-მკლავჭიდში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სპორტსმენებმა:

1. ლუკა კვანჭიანმა (პ.ნ. [redacted], 55კგ. წონით კატეგორიაში, დიდებში, მარჯვენა ხელი - დაიკავა I ადგილი და მარცხენა ხელი Iადგილი. 23 წლამდე 55 კგ. წონით კატეგორიაში, მარჯვენა ხელი I ადგილი, მარცხენა ხელი - II ადგილი.
2. ბაკური კვანჭიანმა (პ.ნ. [redacted]) 60კგ. წონით კატეგორიაში დიდებში, მარჯვენა ხელი - I ადგილი. 18 წლამდე 60 კგ. წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელი I ადგილი.
3. გიორგი მათიაშვილმა (პ.ნ [redacted]) +100კგ. წონით კატეგორიაში, პარა, დიდები, მხედველობა, მარჯვენა ხელი - II ადგილი და მარცხენა ხელი III ადგილი.
4. გიორგი ფერაშვილმა (პ.ნ. [redacted]) 65 კგ. წონით კატეგორიაში,პარა, ახალგაზრდული, მხედველობა, მარჯვენა ხელი - I ადგილი და მარცხენა ხელი I ადგილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი

ფერაშვილის და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

ბიუროს სხდომამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადგინდა, რომ საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის მიერ გადმოგზავნილი დებულება არის ინგლისურენოვანი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –2
წინააღმდეგი – 7

საკითხი 8

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2026 წლის 26 აგვისტოს №08-08 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 2-9 აგვისტოს ლიეტუვის ქალაქ დრუსკინინკაიში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კლასიკურ წოლჭიმში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სოფიკო კვანჭიანმა (პ.[redacted]) 63 კგ. წონით კატეგორიაში, ზედიზედ მეორედ, შედეგით 120 კგ. მოიპოვა ოქროს მედალი . მისი მწვრთნელია გიორგი ხახიაშვილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანის და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

ბიუროს სხდომამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადგინდა, რომ საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის მიერ გადმოგზავნილი დებულება არის ინგლისურენოვანი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –2
წინააღმდეგი – 7

საკითხი 9

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2026 წლის 15 აგვისტოს №08-02 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 23-31 მაისს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კლასიკურ წოლჭიმში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სოფიკო კვანჭიანმა (პ.ნ [redacted] 63 კგ. წონით კატეგორიაში, შედეგით 120 კგ. მოიპოვა ოქროს მედალი და გახდა დიდებში მსოფლიო ჩემპიონი. მისი მწვრთნელია გიორგი ხახიაშვილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანის და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ** -განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 9
წინააღმდეგი – 0

საკითხი 10

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლევან ნიჟარაძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული 2026 წლის აგვისტოს თვის ხარჯები, რომლის ოდენობას წარმოდგენილი მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად განსაზღვრავს თვითონ საკრებულო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** - განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –9
წინააღმდეგი – 0

ბიურომ დაადგინა:

დამტკიცდეს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შევიდეს ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილი შემდეგი პროექტები:

1.„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ფიქრია ქარუმიძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2.„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

3.გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ფიქრია ქარუმიძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

4 .გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევის, აიშა ალიევასა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის გიორგი ხახიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

6. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **მიხეილ გედენიძე**